საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №1

ქ. ბათუმი 15 სექტემბერი, 2020 წელი

სხდომას ესწრებიან:

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის N01-02/114 ბრძანებით განსაზღვრული კომისიის წევრები:

თამარ სირაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, რექტორის მოადგილე **(კომისიის თავმჯდომარე);**

თათია ნაკაშიძე-მახარაძე - ასისტენტ -პროფესორი **(კომისიის მდივანი);**

თეონა თედორაძე - ასისტენტ- პროფესორი **(კომისიის წევრი);**

ნინო სამნიძე - ასისტენტ -პროფესორი **(კომისიის წევრი).**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

2020-2021 სასწავლო წლისათვის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში ინგლისური ენის მიმართულებით ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის N01-02/114 ბრძანებით გამოცხადებულ მოსაწვევი პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა საბუთებისა და დოკუმენტაციის შესწავლა/შერჩევა.

მოისმინეს:

1. ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელის, თათია ნაკაშიძე-მახარაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსაწვევი პერსონალის 2020-2021 სასწავლო წლის ე. წ. ,,დატვირთვის ეკრანის" მიხედვით, ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში გეგმით ინგლისური ენის მიმართულებით **მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის საფეხურებზე ჩასატარებელი საათების რაოდენობა შეადგენს ჯამში - 15782 საათს.** ცენტრში აკადემიური პერსონალის (ასისტენტ-პროფესორთა) და კონკურსის გარეშე მოწვეულ, ბსუ-ში 3 წელზე მეტი გამოცდილების მქონე პედაგოგების დატვირთვის შემდეგ **დარჩენილ 885 საათზე გამოცხადდა კონკურსი.**

2. კომისიის თავმჯდომარის თამარ სირაძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ *„ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020-2021 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევი პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“* ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის N01-02/114 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის, ინგლისური ენის მიმართულებით **2020 წლის 9 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით** სულ შემოვიდა **8 განცხადება.**

კონკურსში მონაწილე პირთა ჩამონათვალი:

1. ცირა მოისწრაფეშვილი
2. ანასტასია მახარაძე
3. ნათია ვასაძე
4. ქრისტინე თოფურია
5. თამთა გორაძე
6. კახა თავდგირიძე
7. როლანდ შავაძე
8. ანა ბაგრატია

საკონკურსო კომისიის წევრებმა ერთხმად, ღია კენჭისყრით დაადგინეს:

15. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია კონკურსის ძირითად პირობებთან და ყველა კონკურსანტს ჩაუტარდეს გასაუბრება შემდეგი განრიგის მიხედვით:

ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის მონაწილე კონკურსანტებთან გასაუბრების განრიგი

პრეტენდენტის სახელი და გვარი	**გასაუბრების ჩატარების დრო**	
	15 სექტემბერი 2020 წელი	
ანასტასია მახარაძე	12:00	12:15
ცირა მოისწრაფეშვილი	12:15	12:30
ნათია ვასაძე	12:30	12:45
ქრისტინე თოფურია	12:45	13:00
თამთა გორაძე	13:00	13:15
კახა თავდგირიძე	13:15	13:30
როლანდ შავაძე	13:30	13:45
ანა ბაგრატია	13:45	14:00

გასაუბრების ჩატარების ადგილი: ონ-ლაინ „ზუმის“ გამოყენებით
https://us02web.zoom.us/j/2594606556

2. საკონკურსო კომისიის მდივანმა უზრუნველყოს კონკურსანტების ინფორმირება გასაუბრების განრიგისა და ონლაინ „ზუმის“ პლატფორმის ლინკის შესახებ CV-ში მითითებული სატელეფონო ნომრების და ელ-ფოსტების მეშვეობით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი:	თ. სირაძე	**თამარ სირაძე**
კომისიის მდივანი, ასისტენტ-პროფესორი:	თ. ნაკაშიძე	**თათია ნაკაშიძე-მახარაძე**
კომისიის წევრები:		
ასისტენტ-პროფესორი:	ნ. სამნიძე	**ნინო სამნიძე**
ასისტენტ- პროფესორი:	თ. თედორაძე	**თეონა თედორაძე**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №2

ქ. ბათუმი 16 სექტემბერი, 2020 წელი

სხდომას ესწრებიან:

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის N01-02/114 ბრძანებით განსაზღვრული კომისიის წევრები:

თამარ სირაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, რექტორის მოადგილე **(კომისიის თავმჯდომარე);**

თათია ნაკაშიძე-მახარაძე - ასისტენტ -პროფესორი **(კომისიის მდივანი);**

თეონა თედორაძე - ასისტენტ- პროფესორი **(კომისიის წევრი);**

ნინო სამნიძე - ასისტენტ -პროფესორი **(კომისიის წევრი).**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

2020-2021 სასწავლო წლისათვის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში ინგლისური ენის მიმართულებით ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის N01-02/114 ბრძანებით გამოცხადებულ მოსაწვევი პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებთან გასაუბრება კომისიის სხდომის #1 ოქმში აღნიშნული განრიგის მიხედვით.

მოისმინეს:

1. საკონკურსო კომისიის მდივნის თათია ნაკაშიძე-მახარაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მის მიერ სატელეფონო და ელ-ფოსტის საშუალებით ინფორმირებული იყო კონკურსის რვავე მონაწილე. გასაუბრებაზე გამოცხადდა ყველა კონკურსანტი. სხდომას ესწრება კომისიის ყველა წევრი, შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს გასაუბრება განრიგის მიხედვით.

2. კომისიის მიერ კონკურსანტებთან გასაუბრების შემდეგ, კომისიის წევრებმა **აზრი გამოთქვეს:**

თამარ სირაძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია კონკურსანტების მიერ გამოვლენილი მაღალი აკადემიური დონე და მათი სურვილი, მაქსიმალურად ჩაერთონ ბსუ-ს სასწავლო პროცესში.

ასისტენტ-პროფესორმა თათია ნაკაშიძემ გამოთქვა აზრი, რომ პირველ რიგში უნდა დავტვირთოთ ის პედაგოგები, რომლებიც ბოლო ორი წელი ჩვენი მასწავლებლები არიან და შეუძლიათ მაქსიმალური დატვირთვის აღება, ხოლო ის კანდიდატები, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი პედაგოგიური გამოცდილება, მაგრამ არ შეუძლიათ მაქსიმალური დატვირთვის აღება, ჩავსვათ სათადარიგო სიაში და საჭიროების შემთხვევაში დავასაქმოთ უფრო მცირე რაოდენობის საათებით.

ასისტენტ-პროფესორმა **ნინო სამნიძემ** აღნიშნა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტების მიღება გაამდიდრებს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ცენტრის პედაგოგთა დიდ გუნდს და ხელს შეუწყობს ახალი გამოწვევების წარმატებით დაძლევას.

ასისტენტ-პროფესორმა **თეონა თედორაძემ** აღნიშნა, რომ სასურველია რჩევის სახით იმ პიროვნებებს, რომელთაც არა აქვთ პედაგოგიური გამოცდილება, გავუწიოთ რეკომენდაცია გაიარონ რაც შეიძლება მეტი მეთოდოლოგიური ტრენინგები ინგლისური ენის სწავლების მიმართულებით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კონკურსანტების შერჩევის საკითხი.

საკონკურსო კომისიის წევრებმა ღია კენჭისყრით ერთხმად დაადგინეს:

1. გამოვლენილი მაღალი აკადემიური და მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძველზე მიეცეთ შეფასება - „მაღალი“ - კონკურსის შემდეგ მონაწილეებს:

    1. ანასტასია მახარაძე
    2. ცირა მოისწრაფეშვილი
    3. ნათია ვასაძე
    4. ქრისტინე თოფურია
    5. თამთა გორაძე
    6. როლანდ შავაძე

2. იმის გათვალისწინებით, რომ არსებული ვაკანტური **885** საათის შესასრულებლად საჭიროა მხოლოდ ორი დასაქმებული (თითოეულმა დასაქმებულმა უნდა შეასრულოს

არანაკლებ 360 და არა უმეტეს 450 საათის დატვირთვა), მიღებულ იქნას გადაწყვეტილება, კონკურსის შედეგად შემდეგი ორი პირის საათობრივი ანაზღაურების წესით სამუშაოს შესრულებისათვის მოწვევის თაობაზე:

1. ანასტასია მახარაძე
2. ცირა მოისწრაფეშვილი

3. დანარჩენი დადებითად შეფასებული კონკურსანტები მოწვეულ იქნან საათობრივი ანაზღაურების წესით ცენტრის და უნივერსიტეტის საჭიროების შესაბამისად, შემდეგი რიგითობის მიხედვით:

1. ნათია ვასაძე
2. ქრისტინე თოფურია
3. როლანდ შავაძე
4. თამთა გორაძე

4. კონკურსის ორ მონაწილეს, ანა ბაგრატიას და კახა თავდგირიძეს, მიეცეს შეფასება - „საშუალო“ (პედაგოგიური გამოცდილების და სასწავლო-მეთოდოლოგიური ტრენინგების არ ქონის გამო), რის საფუძველზეც კომისია თავს იკავებს აღნიშნული კონკურსანტები დაასაქმოს საათობრივი ანაზღაურების წესით 2020-2021 სასწავლო წლისათვის.

5. აღნიშნული საოქმო გადაწყვეტილება გაეგზავნოს ფაკულტეტის დეკანს, ხოლო ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისათვის - ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს (web@bsu.edu.ge).

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი:	თ. სირაძე	**თამარ სირაძე**
კომისიის მდივანი, ასისტენტ-პროფესორი:	თ. ნაკაშიძე	**თათია ნაკაშიძე-მახარაძე**
კომისიის წევრები:		
ასისტენტ-პროფესორი:	ნ. სამნიძე	**ნინო სამნიძე**
ასისტენტ- პროფესორი:	თ. თედორაძე	**თეონა თედორაძე**